

2019 წელს, დიდ დილომში ბუნებრივი აირის
გაჟონვით გამოწვეული აფეთქების გამო
„თბილისი ენერჯის“ ზიანის ანაზღაურება
დაეკისრა

2019 წელს, დიდ დილომში ბუნებრივი
აირის გაჟონვით გამოწვეული აფეთქების
გამო „თბილისი ენერჯის“ ზიანის
ანაზღაურება დაეკისრა

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ორი არასრულწლოვნის სარჩელი მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე და შპს **ქიმოქიმი ენერჯის** დაეკისრა მოსარჩელეთათვის სრულწლოვანების ასაკს მიღწევამდე სარჩოს გადახდის, ასევე, ჯანმრთელობისა და ოჯახის წევრების გარდაცვალების გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. დაზარალებულების ინტერესებს სასამართლოში საია იცავდა.

2019 წლის იანვარში, თბილისში, ერთ-ერთი კორპუსის მაცხოვრებლებმა ბუნებრივი აირის შესაძლო გაჟონვის შესახებ არაერთხელ შეატყობინეს შპს **ქიმოქიმი ენერჯის** სწრაფი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



რეაგირების ცენტრს. ადგილზე გამოცხადებულმა კომპანიის თანამშრომლებმა, ოსტატმა და ზეინკალმა, არ შეასრულეს კანონმდებლობითა და სამსახურებრივი ინსტრუქციით მათთვის დაკისრებული ვალდებულება - სრულად შეემონებინათ როგორც მთლიანი სადარბაზო, ასევე, თითოეულ სართულზე არსებული ბინები, ლიფტის შახტა და სათავსო. ასევე, მათ არ მიუღიათ რაიმე პრევენციული ზომა შესაძლო ავარიის თავიდან ასაცილებლად. მათ მიერ გამოცხადების ადგილის დატოვებიდან დაახლოებით ორ საათში მოხდა გამოჟონილი და დაგროვილი ბუნებრივი აირის ძლიერი აფეთქება, რამაც გამოიწვია ოთხი ადამიანის, მათ შორის, მოსარჩელების დედის და მცირეწლოვანი ძმის გარდაცვალება. აფეთქების შედეგად მოსარჩელების ჯანმრთელობასაც მიადგა ზიანი.

მომხდარის გამო შპს **DP** ენერჯის **□** თანამშრომლებს დაეკისრა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. შედეგად, მათ მიესაჯათ 4-4 წლით თავისუფლების აღკვეთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 220¹ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის. რაც გულისხმობს გულგრილობას, რომელიც გამოიხატა სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირების მიერ მათი სამსახურებრივი მოვალეობის შეუსრულებლობაში/არაჯეროვნად შესრულებაში დაუდევარი დამოკიდებულებების გამო.

სისხლის სამართლის განაჩენებითა და ექსპერტიზის დასკვნით დასტურდება, რომ არსებობდა აფეთქების სამი კერა: კორპუსში არსებული ერთი კონკრეტული ბინა, კორპუსის ლიფტის შახტა და სადარბაზო. შპს **DP** ენერჯი **□** აპელირებდა იმაზე, რომ აფეთქება და შესაბამისად, დამდგარი შედეგი განაპირობა კონკრეტულად ერთ ბინაში ბუნებრივი აირის გაჟონვამ, რაზეც, მოპასუხის მითითებით - პასუხისმგებლობა სწორედ იმ ბინის მესაკუთრეს ეკისრებოდა და არა შპს **DP** ენერჯის **□** ან მის თანამშრომლებს. მოპასუხე უარყოფდა მისი თანამშრომლების გულგრილობის ფაქტს, რომლებსაც ვალდებულება ჯეროვნად რომ შეესრულებინათ, ისინი აღმოაჩენდნენ გაჟონვის კერებს და მოსახლეობას შეებულებოდა ბუნებრივი აირის მიწოდება, რითაც თავიდან იქნებოდა აცილებული მომხდარი ტრაგედია. ამასთან, საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, აფეთქების ამ მასშტაბს მხოლოდ ერთ კონკრეტულ ბინაში მომხდარი აფეთქება ვერ გამოიწვევდა. ამავდროულად, შპს **DP** არ იზიარებდა მისი, როგორც ლიცენზიატი კომპანიის ვალდებულებას, სისტემატურად შეემონებინა, მათ შორის, ის კონკრეტული ბინა, სადაც ჟონავდა ბუნებრივი აირი.

სასამართლომ სრულად გაიზიარა მოსარჩელე მხარის სამართლებრივი პოზიცია შპს **DP** ენერჯის **□** როგორც დამსაქმებლისა და როგორც ლიცენზიატი კომპანიის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სახეზე იყო მოპასუხის თანამშრომლების მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რამაც გამოიწვია

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



დამდგარი ზიანი. ამასთან, სასამართლოს მითითებით, კანონმდებლობისა და ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, **ქ. [] იკვეთება შპს ქ. [] ენერჯის [] ვალდებულება**, შეემონმებინა ის კონკრეტული ბინა და ის, რომ ამ აფეთქებასაც ჰქონდა თავისი წილი, ბინის მესაკუთრესთან ერთად პასუხისმგებლობას აკისრებს შპს **ქ. [] ენერჯის, [] როგორც ლიცენზიატ კომპანიას**“.

აღნიშნული განმარტება მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც დადგინდა შპს ქ. [] როგორც არა მხოლოდ კერძო დამსაქმებლის, არამედ როგორც სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების მქონე სუბიექტის - ლიცენზიატი კომპანიის პასუხისმგებლობა, განახორციელოს მომხმარებლებისთვის ბუნებრივი აირის უსაფრთხო მიწოდება და სისტემატური შემონმება.

შედეგად, მოპასუხე შპს **ქ. [] ენერჯის [] არასრულწლოვანი მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრა:**

- სარჩოს გადახდა დედის გარდაცვალებიდან სრულწლოვანების ასაკს მიღწევამდე;
- ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება 5 000 და 2 000 ლარის ოდენობით;
- დედისა და ძმის გარდაცვალების გამო მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება თითოეული მოსარჩელისთვის 50 000 - 50 000 ლარის ოდენობით.

სასამართლოს 2022 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილება ამ დროისთვის არ არის შესული კანონიერ ძალაში. მოსარჩელების მოთხოვნით, სასამართლომ დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიაქცია გადაწყვეტილება არასრულწლოვანების ინტერესების გათვალისწინებით. ამდენად, კომპანიას დაუყოვნებლივ მოუწევს გადაწყვეტილების აღსრულება მისი გასაჩივრების შემთხვევაშიც.